



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საბაკალავრო პროგრამები: თავისუფალი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი)
საბაკალავრო პროგრამა: ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი)
სამაგისტრო პროგრამა: ფილოსოფია
სადოქტორო პროგრამა: ფილოსოფია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 7-9 ნოემბერი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 20 დეკემბერი, 2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	13
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	13
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	14
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	14
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	14
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	14

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
ინსტიტუციის ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კლაუდია მარსიკო ბუენოს აირესის უნივერსიტეტი, არგენტინა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე დარჩია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი თავაძე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ალექსიძე თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი არქანია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	თავისუფალი მეცნიერებები	ფილოსოფია	ფილოსოფია	ფილოსოფია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	სადოქტორო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ¹	თავისუფალ მეცნიერებათა ბაკალავრი	ფილოსოფიის ბაკალავრი	ფილოსოფიის მაგისტრი	ფილოსოფიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0288- ინტერდისციპლინური - მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს	0223 – ფილოსოფია და ეთიკა	0223 – ფილოსოფია და ეთიკა	0223 – ფილოსოფია და ეთიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება	არ არის მითითებული	არ არის მითითებული	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	120	36
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული	აკრედიტებული	აკრედიტებული	აკრედიტებული

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²**

კლასტერი მოიცავს ოთხ პროგრამას:

(i) თავისუფალი მეცნიერებების (Liberal Arts) საბაკალავრო პროგრამა.

პროგრამა ხორციელდება 2011 წლიდან და მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც უნდა დაიფაროს 4 სასწავლო წელში. პროგრამაში არის 60 კრედიტის საბაზო/ზოგადი მოდული; ძირითადი პროგრამა –120 კრედიტი, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი და დამატებითი პროგრამა, რომელიც მოიცავს 60 კრედიტს და იფარება სავალდებულო და არჩევითი კურსებით ხელოვნებაში, ფილოსოფიაში, ლიტერატურაში, ისტორიასა და პოლიტიკაში.

(ii) ფილოსოფიის (ძირითადი და დამატებითი) საბაკალავრო პროგრამა.

პროგრამა ხორციელდება 2011 წლიდან და მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც უნდა დაიფაროს 4 სასწავლო წელში. საბაზო/ზოგადი მოდული 60 კრედიტი; ძირითადი პროგრამა –120 კრედიტი, მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომი და დამატებითი პროგრამის 60 კრედიტი, რომელიც უნდა დაიფაროს სავალდებულო და არჩევითი კურსებით თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის მიმართულებებით.

(iii) სამაგისტრო პროგრამა – ფილოსოფია.

პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან და მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც უნდა დაიფაროს 2 სასწავლო წელში. სავალდებულო კურსები მოიცავს 30 კრედიტს, თეორიული ფილოსოფიის კურსები 24 კრედიტი, პრაქტიკული ფილოსოფიის კურსები 24 კრედიტი, 12 კრედიტი უნდა დაიფაროს არჩევითი კურსებით, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 30 კრედიტს.

(iv) სადოქტორო პროგრამა – ფილოსოფია

პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან და მოიცავს 36 კრედიტს, რომელიც უნდა დასრულდეს 3-დან 5 სასწავლო წელში. ეს კრედიტები გულისხმობს შეთავაზებულ კურსებს და ასისტენტობის კომპონენტს, რომელიც ორიენტირებულია სწავლების უნარების განვითარებაზე. კრედიტის სტრუქტურას თან ახლავს კოლოკვიუმებსა და აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობის მოთხოვნა, მოხსენებების წარდგენა და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შეფასება განხორციელდა 7-9 ნოემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ (MES 2 22 0001382603). შეფასების ფორმატი იყო ჰიბრიდული, სადაც ქართველი ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები ესწრებოდნენ გასაუბრებას ადგილზე, ხოლო ჯგუფის თავმჯდომარე ონლაინ, zoom პლატფორმის

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

საშუალებით. აკრედიტაციის ექსპერტებმა 5 ნოემბერს გამართეს წინასწარი შეხვედრა ონლაინ, სადაც მათ ერთმანეთს გაუზიარეს წინასწარი დასკვნები კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების, თვითშეფასების ანგარიშისა და შესაბამისი დანართების მიმოხილვის საფუძველზე და დაგეგმეს შეფასების დეტალები. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა პროგრამის ყველა შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეს და დაკვირვებოდა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუები გამართა შემდეგ პირებთან:

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლებთან, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალთან, პროგრამების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. აკრედიტაციის ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული და სამუშაო გარემო იყო თანამშრომლობითი და მისასალმებელი. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინა თავისი ძირითადი დასკვნები.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს მიღებული ძირითადი მიგნებები მოიცავს შემდეგ პუნქტებს: კლასტერის და პროგრამების ძლიერ მხარეებთან დაკავშირებით:

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესანიშნავია. მათ აქვთ ძალიან კარგი გამოცდილება, მონაცემები და მკაფიო იდეები თავიანთი ექსპერტიზის სფეროების შესახებ. არიან ენთუზიაზმით სავსე და კარგად იციან ინსტიტუციური გარემოს ინოვაციებისა და მიმართულებების შესახებ.
2. რომ გავაგრძელოთ იგივე ხაზი, აკადემიური პერსონალის კვლევის შესაძლებლობები და შედეგები თვალსაჩინოა და ჩანს, რომ მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ შესაბამის სფეროებში. ამ წვლილს აქვს მზარდი საერთაშორისო ხილვადობა, რაც პოზიტიურად აისახება დაწესებულებისა და მთლიანად საქართველოში უმაღლესი განათლების დონეზე.
3. ასევე აღსანიშნავია სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შესანიშნავი დონე. როგორც დოკუმენტებში, ასევე ინტერვიუებში აშკარად ჩანს, რომ ერთობლივი ხელმძღვანელობა, ტრანსფერული უნარების განვითარება, საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები, საერთაშორისო პუბლიკაციები და ა.შ. პროგრამის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, რაც უაღრესად ღირებულია.
4. არა მარტო პროგრამის შიგნით, ზოგადად, არსებობს კვლევის ინტერნაციონალიზაციის საერთო მაღალი დონე, რაც ღირებული და აღნიშვნის ღირსია.
5. ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დონეზე არის კარგად ჩამოყალიბებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ეს არის ძალიან კარგი წინაპირობა ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებისთვის.
6. ძალიან კარგად არის გააზრებული სამაგისტრო პროგრამის მისია, რაც გულისხმობს, რომ კარგად ნაფიქრი და გააზრებულია ამ პროგრამაზე დაშვების პროცესი (კერძოდ, მიიღება თუ არა არაფილოსოფიის კურსდამთავრებული და როგორ). უფრო მეტიც, პროცესში ჩართულ ყველა მხარეს კარგად აქვს გაცნობიერებული ფილოსოფიური პროგრამების როლი საზოგადოების განვითარების პროცესში.

7. ბიბლიოთეკის მომსახურება მაღალი ხარისხისაა. უნივერსიტეტში ძლიან კარგად არის დანერგილი პროფესორების მოთხოვნით სტუდენტებისთვის ელექტრონული რიდერების მომზადება, მოთხოვნის შემთხვევაში საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება, სტუდენტებისთვის ელექტრონული ბაზების შესახებ რეგულარული ტრენინგის ჩატარება და სხვა სერვისები.

რაც შეეხება გასაუმჯობესებელ სფეროებს:

1. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის შეზღუდვები გვხვდება ყველა დაწესებულებაში, სასურველია გასათვალისწინებელი იყოს მოწვეული პერსონალის მატერიალური პირობების გაუმჯობესება, მაგალითად, წლიური კონტრაქტების გაფორმება და ხელფასების გაუმჯობესება. შეიძლება გაუმჯობესდეს მათი ინტეგრაცია უნივერსიტეტში. მათ უნდა ჰქონდეთ სივრცე, უნივერსიტეტში შეხვედრისა და დარჩენისათვის.
2. სასურველია გაუმჯობესდეს კლასტერში არსებული პროგრამების ხელმძღვანელების კომუნიკაცია კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. სასურველი იქნებოდა გარე დაინტერესებულ მხარეებთან ერთობლივი მუშაობის გაზრდა, მათი შეხედულებები და მონაწილეობა ხელს შეუწყობს შესაბამისი სფეროების განვითარებას.
3. თავისუფალი მეცნიერებების პროგრამის ხელმძღვანელების კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან სასურველია გაძლიერდეს. თავისუფალი მეცნიერებების გუნდის უკეთესი ინტეგრაცია ფაკულტეტზე უფრო მომგებიანი იქნება და დადებით გავლენას მოახდენს პროგრამის ხარისხზე.
საერთო ჯამში, ზოგადი შეხედულება იყო ძალიან დადებითი.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი კლასტერი და მისი ყველა პროგრამა შეესაბამება სტანდარტებს, ავლენს განვითარების შესაფერის დონეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, სწავლების მეთოდოლოგიასა და ორგანიზაციასთან, სტუდენტთა მიღწევებთან, სწავლების რესურსებთან და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. რეგულაციები, სტრატეგიები, კვლევის ინფრასტრუქტურა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები და ინტერნაციონალიზაციის შედეგები შეესაბამება სტანდარტებს. აკადემიური პერსონალი შესანიშნავია, ხოლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას. ამ მიზეზით, მკაცრად რეკომენდირებულია აკრედიტაციის შენარჩუნება.

სტანდარტი 1:

ქვესტანდარტი 1.1 - 1.5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2:

ქვესტანდარტი 2.1 - 2.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3:

ქვესტანდარტი 3.1-3.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4:

ქვესტანდარტი 4.1 – 4.5- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5:

ქვესტანდარტი 5.1 – 5.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ქვესტანდარტი 5.3. – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

ეხება საბაკალავრო პროგრამას - თავისუფალი მეცნიერებები

1.4. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს კომუნიკაცია ადმინისტრაციასა და „თავისუფალი მეცნიერებების“ გუნდს შორის, რათა მოხდეს მათი უკეთესად ინტეგრირება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან.

ეხება საბაკალავრო პროგრამას - ფილოსოფია

1.5. გამრავალფეროვნდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი კურსში *შესავალი ადამიანის უფლებათა ფილოსოფიაში*, რათა მან მოიცვას კურსის შინაარსში ჩამოთვლილი თემები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

5.3 დაწესებულებამ სრულად დანერგოს ხარისხის არსებული მექანიზმები პროგრამის შესაფასებლად და უზრუნველყოს პროცესებში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის:**

ეხება კლასტერს:

1.4 დაწესებულებამ წარმოადგინოს ვებგვერდის სრული ვერსია, რომელიც ამჟამად შეიცავს ღირებულ ინფორმაციას, თუმცა არ არის სრული საერთაშორისო ენაზე, რაც გააძლიერებდა მის ხილვადობას. სასარგებლო იქნება არსებული ზომების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღწევადობას ადგილობრივ გარემოს მიღმა არსებულ სამიზნე აუდიტორიამდე.

2.4.1. გაიზარდოს სწავლებაში ჩართული პერსონალის გადამზადების შესაძლებლობები შეფასებასთან დაკავშირებით.

2.4.2. გაგრძელდეს სტუდენტთა მუშაობის სტატისტიკური ანალიზის შემუშავება.

4.1. გაუმჯობესდეს მოწვეული პერსონალის სამუშაო პირობები, რაც გულისხმობს ხელფასს, წლიურ კონტრაქტებსა და აკადემიური გაუმჯობესებისთვის შესაძლებლობებისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას.

5.1. დაწესებულების მიერ შეიძლება განიხილებოდეს თვითშეფასების გუნდში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე დამსაქმებლთა ჩართვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩანს მათი უკუკავშირი სხვადასხვა ფორმით, მათი ჩართულობა პროგრამების სამუშაო ჯგუფებში შეიძლება სასარგებლო იყოს პროგრამებისთვის.

ეხება საბაკალავრო პროგრამას - თავისუფალი მეცნიერებები:

1.4. რჩევა სამეცნიერო ნაშრომები „თავისუფალი მეცნიერებების“ კურსების სილაბუსებში მიეთითოს არა როგორც სავალდებულო, არამედ როგორც დამატებითი სასწავლო მასალა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან გაიღრმავონ თავიანთი ცოდნა შესაბამის კვლევით სფეროებში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე (მაგ. იხილეთ სილაბუსები - დიადი წიგნები II, დიადი წიგნები III, ბერძნული დრამა ანტიკურობისა და თანამედროვეობის კონტექსტში და სხვ.).

ეხება საბაკალავრო პროგრამას - ფილოსოფია:

1.5. გადანაწილდეს თემები კურსებში „მუასაუკუნეების ფილოსოფია“ და „ახალი ეპოქის ფილოსოფია“, რათა აისახოს მათი სათანადო კუთვნილება შესაბამის ეპოქებთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³**

სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია განსაკუთრებით ძლიერი და ღირებულია და წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის ხაზგასმას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქსელების განვითარება, ერთობლივი ხელმძღვანელობა და საერთაშორისო ერთობლივი მუშაობა უახლესი სფეროებში.

- **ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების შესახებ.**

რეკომენდაციებთან დაკავშირებით უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია.

რაც შეეხება რეკომენდაციებს თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის 1.4-თან და ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის 1.5-თან მიმართებით, ნახსენები იყო რამდენიმე დამატებითი ღონისძიება, მათ შორის განახლებული სილაბუსი. ეს ყოველივე წარმოადგენს პოზიტიურ ნაბიჯებს ამ ასპექტების შემდგომი გაძლიერებისთვის და ავლენს შესანიშნავ ინსტიტუციურ შესაძლებლობებს გაუმჯობესებისთვის, მაგრამ ვინაიდან ისინი ვიზიტის დასრულების შემდგომ იქნა წარმოდგენილი, მათი გათვალისწინება ვერ მოხდებოდა. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი ტოვებს იმავე რეკომენდაციებს.

რაც შეეხება 5.3-ში მოცემულ რეკომენდაციას პროგრამის შეფასებისთვის ხარისხის მექანიზმების სრულად დანერგვის და პროცესებში გარე დაინტერესებული მხარეების

³ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ჩართულობის შესახებ, დაწესებულება ხაზს უსვამს პროცედურების სიახლეს და განხორციელებულ პროგრესს. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს პროგრესს, რომელიც აისახა შეფასების ბევრ პუნქტში დადებითი განაცხადების საშუალებით, მაგრამ მიიჩნევს, რომ სპეციფიური ასპექტები დოქტორანტურის ხელმძღვანელობის შეფასებასთან, სასწავლო კურსების შეფასების ანალიზთან და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებით არ იყო ჯერ სრულად შესრულებული და საჭიროებს გაძლიერებას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ინარჩუნებს რეკომენდაციის სტატუსს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამები გადაიხედა წინა შეფასებების გათვალისწინებით; შედეგად, განახლდა და განვითარდა მიზნები და სწავლის შედეგები, გამოიკვეთა თითოეული პროგრამის კომპეტენციების რუკები, დაიხვეწა მატერიალური რესურსები და დაინერგა ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები. ყველა ეს ასპექტი ნათლად ჩანს კლასტერის ფუნქციონირებაში და ქმნის მნიშვნელოვან პროგრესს.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომის გამოყენებით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტის კომპონენტი:	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერი

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: **საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი ყველა სასწავლო პროგრამის მიზნები არის მკაფიო, რეალისტური და მიღწევადი, სწავლის დონის, შესაბამისი დარგის სპეციფიკის, ასევე შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების სრული გათვალისწინებით. პროგრამების მიზნები მჭიდროდ არის დაკავშირებული უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან და მიწოდებულია შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებისთვის. სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია შეიძლება ჩაითვალოს კლასტერის ძლიერ მხარედ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)

თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ფორმულირებული ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი მიზნების მიხედვით. პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია, თავისუფალი მეცნიერებათა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, და დაფუძნებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე. კარგად არის დასაბუთებული თავისუფალი მეცნიერებების მნიშვნელობა და წვლილი თანამედროვე საზოგადოებაში, ინტერნაციონალიზაციის ასპექტები და კურსდამთავრებულთა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები ასახულია მიზნებში.

პროგრამის მიზნები მჭიდრო კავშირშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიასთან. "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთ პირველ დაწესებულებას წარმოადგენს, რომელმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში შემოიტანა ლიბერალური ხელოვნებების მნიშვნელოვანი ელემენტები და ის აგრძელებს ამ ელემენტების შენარჩუნებასა და გაძლიერებას, უზავებს რა მათ სპეციალიზაციის ძლიერ და მკაცრ მოთხოვნებს"(უნივერსიტეტის მისია). პროგრამის მიზნები ღიად ითვალისწინებს არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებებსა და ტენდენციებს.

პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ პროგრამაში ჩართული პირები თანხმდებიან და იზიარებენ პროგრამის მიზნებს, აქვთ საკმარისი

ინფორმაცია და პასუხისმგებლობა და ყველა მათგანი არის ლიბერალური განათლების დიდი მხარდამჭერი და დამცველი. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/programebi-303/mecnierebata-da-xelovnebis-fakultetis-sabakalavro-programebi/ertiani-migebit/tavisufali-mecnierebebi-liberal-arts>.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმი
- გასაუბრებების შედეგები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია (ვებგვერდი)
- ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის მისია (ვებგვერდი)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს დარგში კრიტიკული აზროვნების მქონე პირები, რომლებსაც ეცოდინებათ ფილოსოფიის ისტორია, მისი განვითარების ეტაპები, ძირითადი ფილოსოფიური სკოლები და ქვედარგები (ეთიკა, ესთეტიკა, ლოგიკა და ა.შ.) ფართოდ. პროგრამით დასახული მიზნები ითვალისწინებს როგორც ფილოსოფიის სპეციფიკას, ასევე სწავლის დონეს. მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად და ცალსახად და ხელმისაწვდომია საჯაროდ. ისინი ასევე აღწერენ უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დამთავრების შემდეგ, კერძოდ, მათ ექნებათ: სისტემური და კრიტიკული აზროვნება, ანალიტიკური უნარი და არგუმენტაციის უნარი. პროგრამა აცხადებს, რომ ამ უნარებზე დაყრდნობით, სტუდენტებს შეეძლებათ განიხილონ კლასიკური და თანამედროვე პრობლემები ფილოსოფიაში და გამოხატონ თავიანთი იდეები ნათლად და დამაჯერებლად. დასახული მიზნები და აღწერილი კომპეტენციები შეესაბამება მე-6 დონის აღწერებს, რომლებიც მოცემულია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში. ეს მიზნები ასევე შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მისიას და მას იზიარებენ პროგრამაში ჩართულ პირები.

გარდა ამისა, ადგილზე ვიზიტის დროს, პროგრამის ხელმძღვანელებმა აჩვენეს, რომ კარგად ესმით მათი პროგრამის როლი საზოგადოების განვითარებაში. ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს შესაბამისი ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და მათი როლის შესახებ მათ მისაღწევად. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ფილოსოფიური რეფლექსიის საჭიროებაზე პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის ეპოქაში. აღინიშნა, რომ ფილოსოფიური ტრადიციის შესწავლა ნიშნავს ამ საზოგადოების იდენტობისა და ტრადიციის წყაროებთან დაბრუნებას. ამ ყველაფერს თან ახლავს ტრადიციების გადააზრება, რომელიც საკითხის ღრმა და საფუძვლიან ფილოსოფიურ ტესტირებას გულისხმობს. პროგრამის მიზანია წახალისოს სტუდენტები არა მხოლოდ მათი ცხოვრების, არამედ მათი ინსტიტუტების და მათი როლის შესასწავლად ფართო ევროპულ საზოგადოებაში, ამ ელემენტების ინტეგრირების და საკუთარი გარემოს კრიტიკულად შეფასების უნარის განვითარების და ამავე დროს მასთან კავშირის შენარჩუნების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმი
- გასაუბრებების შედეგები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია (ვებგვერდი)
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მისია (ვებგვერდი)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათელია და სრულყოფილად იყო წარმოდგენილი და ახსნილი ვიზიტის დროს. საბაკალავრო პროგრამის ანალოგიურად, სამაგისტრო პროგრამა არის თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის სინთეზი. სტუდენტები იღებენ სიღრმისეულ ცოდნას ფილოსოფიური დარგების შესახებ და აქვთ მეტი ინტერდისციპლინური მიდგომების შემუშავებისა და ფილოსოფიის სხვადასხვა პრობლემის შესწავლის შესაძლებლობა. პროგრამის მიზნები აღწერს იმ უნარებსა და კომპეტენციებს, რომლსაც სტუდენტი მიიღებს, შეესაბამება სწავლის სფეროს და დონეს, მჭიდროდ არის დაკავშირებული დაწესებულების და ფაკულტეტის მისიასთან და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დოკუმენტების გარდა, ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამის მიზნების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან მოქმედი სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული მხარეების (როგორცაა პოტენციური დამსაქმებლები) გასაუბრების გზით. ყველა დაინტერესებულ მხარეს კარგად ესმის პროგრამის მისია და მიზნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმი
- გასაუბრებების შედეგები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია (ვებგვერდი)
- ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის მისია (ვებგვერდი)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის მიზნები ნათელია და სათანადოდ შეესაბამება მარეგულირებელ ჩარჩოსა და დაწესებულების მისიას, ხედვასა და მიზნებს. ისინი სათანადოდ ყურადღებას აქცევენ ძირითადი დისციპლინის საგნებს და უნარებს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ საკუთარი წვლილი შეიტანონ დარგის განვითარებაში და ემებენ შესაფერს გზებს, რათა მოხდეს ამ ცოდნისა და უნარების კურსდამთავრებულებისათვის გადაცემა. ეს მიზნები არის რეალისტური, მიღწევადი და სწორად ჩამოყალიბებული. წვლილის შეტანა სამეცნიერო კუთხით განვითარებაში, შრომის ბაზარსა და ზოგადად საზოგადოებაში სათანადოდ იქნა დასაბუთებული დოკუმენტებში და ინტერვიუებში შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან. ინტერნაციონალიზაციის დონე შესანიშნავია და კარგად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ყველა შესაბამისი ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ადეკვატური ზომების საშუალებით და კარგად არის ცნობილი პერსონალისთვის, რაც კარგად ჩანს პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმი

- გასაუბრებების შედეგები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია (ვებგვერდი)
- ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის მისია (ვებგვერდი)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- > პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- > პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია ცოდნის, უნარების ან/და პასუხისმგებლობისა და ავტონომიის თვალსაზრისით. ისინი შეესაბამება პროგრამების მიზნებს, კვალიფიკაციის დონეს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორი), ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს და შესაბამისი დარგის კრიტერიუმებს (ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში). ყველა პროგრამის სწავლის შედეგი გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, რაც ითვალისწინებს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებებსა და მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს პროგრამის კურსდამთავრებულებს განაგრძონ

სწავლა განათლების შემდეგ საფეხურზე (ბაკალავრიატის და სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში). კლასტერში დაჯგუფებული სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შინაარსის, კომპლექსურობისა და სირთულის მიხედვით თანმიმდევრულია და ვითარდება შესაბამისი საფეხურების მიხედვით. როგორც ინტერვიუებმა აჩვენა, ყველა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება იყო ღია, გამჭვირვალე და თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)

თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიის თვალსაზრისით, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს და ბაკალავრის ხარისხის მინიჭების შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით (საქართველოში არ არსებობს თავისუფალი მეცნიერებების დარგობრივი მახასიათებლები). პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტურია, მიღწევადია შესაბამისი სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიით, გაზომვადია შესაბამისი შეფასების მეთოდებით და სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმების მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს გააგრძელონ სწავლა სამაგისტრო დონეზე უფრო ფართო სპექტრში ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში მიღებული ფართო ცოდნისა და ტრანსფერული უნარების დამსახურებით.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სწავლის შედეგების შემუშავება საკმაოდ თანამშრომლობითი პროცესი იყო და პროგრამის გუნდმა სტუდენტებს და გარე პარტნიორებს მიაწოდა ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ. მიუხედავად ამისა, პროგრამის ხელმძღვანელების უკეთესი კომუნიკაცია ადმინისტრაციულ პერსონალთან იქნება მომგებიანი (დეტალებისთვის იხილეთ ქვესტანდარტების 1.4 და 1.5 შეფასება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- კლასტერში არსებული პროგრამების კურიკულუმები
- გასაუბრებების შედეგები
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლის შედეგები განისაზღვრება შემდეგნაირად: „პროგრამის კურსდამთავრებული:

- გამოავლენს ფილოსოფიის, როგორც დისციპლინის ისტორიისა და განვითარების ეტაპების ზოგად ცოდნას, ასევე გამოავლენს ძირითადი ფილოსოფიური ნაშრომების ზოგად ცოდნას;
- აქვს ფილოსოფიის ძირითადი თანამედროვე ტენდენციებისა და პროცესების ანალიზის უნარი;
- მსჯელობისას იყენებს ფილოსოფიურ ლექსიკას, ძირითად ფილოსოფიურ კატეგორიებსა და ცნებებს;
- ამჟღავნებს თეორიული/პრაქტიკული ფილოსოფიის ძირითადი მიდგომებისა და თეორიების ზოგად ცოდნას;

- აქვს უნარი კრიტიკულად გააანალიზოს სხვადასხვა ფილოსოფიური თეორიები ისტორიულ/ფილოსოფიურ კონტექსტთან მიმართებაში და განასხვავოს ამ თეორიების საფუძვლად არსებული მეთოდები;
- აქვს უნარი შეაჯამოს ინფორმაცია კლასიკურ და თანამედროვე ფილოსოფიურ საკითხებზე, იდეებსა და პრობლემებზე, მოახდინოს მათი სინთეზი ან ანალიზი. ამის საფუძველზე კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ორიგინალური, რთული და ლოგიკური მსჯელობები დარგში არსებული ძირითადი არგუმენტების გამოყენებით;
- შეუძლია თავისი იდეების/ შეხედულებების ზეპირად ან წერილობით ჩამოაყალიბება მკაფიოდ, ლოგიკურად და დამაჯერებლად აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების მიხედვით და ისტ-ის გამოყენებით;
- ზრუნავს საკუთარ განვითარებაზე და იყენებს სხვადასხვა რესურსს თავისი ცოდნის (მათ შორის ელექტრონული მონაცემთა ბაზების) გასაუმჯობესებლად“.

სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება მოცემული განათლების დონეს (ბაკალავრი), დარგის დეტალურ აღმწერს და დისციპლინის სპეციფიკას. ისინი შეესაბამება პროგრამის სასწავლო გეგმით დასახულ მიზნებს, არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური. პროგრამის სწავლის შედეგები სტუდენტებს საშუალებას მისცემს გააგრძელონ სწავლა მაგისტრატურაში და შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ადგილზე ვიზიტის დროს აკადემიურმა პერსონალმა აჩვენა სწავლის შედეგების კარგი ცოდნა და მათი კავშირი პროგრამის შინაარსთან. რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, გასაუბრებისას, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებმა, რომლებიც ამჟამად სწავლობენ ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაზე, გამოავლინეს უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რაც ზემოთ ჩამოთვლილი სწავლის შედეგების ლოგიკური განვითარებაა. ინტერვიუებიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება იყო თანამშრომლობითი პროცესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- კლასტერში არსებული პროგრამების კურიკულუმები
- გასაუბრებების შედეგები
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

ფილოსოფიის სამაგისტრო კურიკულუმის მიხედვით, მიზნები გამოიკვეთა შემდეგნაირად (შეჯამება):

1. სტუდენტებს აქვთ სისტემური და სიღრმისეული ცოდნა ფილოსოფიის შესაბამისი ისტორიული და აქტუალური საკითხების შესახებ, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ფილოსოფიაში.
2. სტუდენტებს შეუძლიათ გააანალიზონ ფილოსოფიური ტექსტები ანტიკური ხანიდან თანამედროვეობამდე.
3. შეუძლიათ გამოიყენონ თანამედროვე მეთოდოლოგიები მათ მიერ არჩეულ სფეროში და კარგად ესმით აკადემიური კეთილსინდისიერება.
4. შეუძლიათ პირველადი და მეორადი წყაროების, ასევე ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენება.
5. შეუძლიათ გამოხატონ თავისი პოზიციები და შეხედულებები ფილოსოფიურ თემებზე.
6. შეუძლიათ თავიანთი კვლევის შედეგების წარმოდგენა წერილობით და ზეპირად.
7. აქვთ ავტონომიის განცდა კვლევაში და საკუთარი შეხედულებებისა და დამოკიდებულების გამოხატვის უნარი“.

ეს სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების მოცემულ დონეს (MA) და დისციპლინის სპეციფიკასა და

დარგობრივ მახასიათებლებს. ისინი ასევე შეესაბამება პროგრამის სასწავლო გეგმაში დასახულ მიზნებს და არის რეალისტური, გაზომვადი და განხორციელებადი. ეს სწავლის შედეგები ქმნის მყარ საფუძველს, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს განაგრძონ სწავლა სადოქტორო პროგრამაზე, სურვილის შემთხვევაში. ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა აჩვენა, რომ კარგად ესმით სწავლის შედეგები და როგორ არის ეს შედეგები დაკავშირებული პროგრამასთან. ექსპერტთა ჯგუფს ასევე ჰქონდა შესაძლებლობა გასაუბრებოდა როგორც მაგისტრატურის მოქმედ სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს. როგორც ჩანს, ყველა მათგანმა კარგად იცოდა სწავლის შედეგები და ჰქონდათ განცდა, რომ მათ ნამდვილად მიაღწიეს შედეგებს. გარდა ამისა, შესწავლილი იქნა რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი და თუ ამ ნაშრომების მაღალი ხარისხით ვიმსჯელებთ, ისინიც ადასტურებს, რომ სასწავლო გეგმაში აღწერილი სწავლის შედეგები მიღწეულია. მთლიანობაში, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი იყო თანამშრომლობითი პროცესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- კლასტერში არსებული პროგრამების კურიკულუმები
- გასაუბრებების შედეგები
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ისინი რეალისტურია და ეფუძნება ნათლად ჩამოყალიბებულ ხედვას გასავითარებელი ცოდნისა და უნარების შესახებ. ისინი შეესაბამება დოქტორანტურის დონეს და შექმნილია ამ სფეროში უახლესი საერთაშორისო მიღწევების გათვალისწინებით. სათანადო ყურადღება ეთმობა მეცნიერული პროდუქტის შექმნას, რომელიც სპეციალურად არის ორიენტირებული საერთაშორისო ხილვადობის მოსაპოვებლად. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები ადეკვატურად ერთვის პროგრამის ყოველდღიურ ცხოვრებას. ინტერვიუების დროს პროგრამის მართვაში ჩართულმა პირებმა, აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა თანამშრომლობითი ჩართულობა და მონაწილეობა აჩვენეს სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- კლასტერში არსებული პროგრამების კურიკულუმები
- გასაუბრებების შედეგები
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- > განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- > პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება, როგორც საკანონმდებლო მოთხოვნა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ცოტა ხნის წინ დაინერგა და იგი განიხილება, როგორც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად, მაგრამ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა უკვე დაიწყო მისი განხორციელება და გეგმავს შეფასების შედეგების განხილვას სასწავლო გეგმების შემდგომ განვითარებაში. არსებობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა კლასტერში წარმოდგენილი ყველა სასწავლო გეგმისთვის, რომელიც ითვალისწინებს შეფასების შესაბამის ინსტრუმენტებს და პერიოდულობას, ასევე ადეკვატურ კრიტერიუმებს, რომლებიც შეესაბამება ზოგადად ჰუმანიტარულ მეცნიერებებს და კონკრეტულად თავისუფალი მეცნიერებებისა და ფილოსოფიის სპეციფიკას. გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სწავლის შედეგების შეფასებაში უზრუნველყოფილია კარგად ჩამოყალიბებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მეშვეობით. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ისინი პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის სათანადო მითითებას და მხარდაჭერას იღებენ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აღწერა

და ანალიზი - პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)

დაწესებულებას შემუშავებული აქვს თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის შეფასების თანმიმდევრული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს როგორც სწავლების, ასევე კვლევის კომპონენტების სწავლის შედეგების შეფასებას. დისციპლინები, პირდაპირი შეფასების შერჩეული ინსტრუმენტები, აგრეთვე შეფასების პერიოდულობა და სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები, შემუშავებულია ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერებების და კერძოდ, თავისუფალი მეცნიერებების მახასიათებლების შესაბამისად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით მოახდინა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის პილოტირება, რომელიც ახლახან შეიქმნა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამის სამიზნე ნიშნულების განახლებისთვის და სწავლებისა და სწავლის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. რაც შეეხება გარე დაინტერესებული მხარეების (კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები) შეფასების და ჩართულობის ირიბ მეთოდებს, ეს გათვალისწინებულია უნივერსიტეტის კარგად დამკვიდრებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ თავისუფალი მეცნიერებების ბაკალავრიატის პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იღებს მხარდაჭერას (ელ. ფოსტით, წერილობითი სახელმძღვანელო მითითებებით, შეხვედრებით, ტრენინგებით და ა.შ.) ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან შესაბამისი თეორიული ცოდნის და უნარების განვითარების მიზნით და პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი
- დარგობრივი მახასიათებლები

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამას აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ასახავს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებს, ნასწავლ კურსებს, შეფასების კომპონენტებს, შეფასების პერიოდსა და დადგენილ დარგობრივ მახასიათებლებს შორის. ნასწავლი კურსების შეფასების პერიოდი დგინდება შესაბამისი სემესტრების ბოლოს, სამიზნე ნიშნულებით, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების 80%-მა მიიღოს საბოლოო შეფასების 51% ან მეტი. განმსაზღვრელი კომპონენტია საბოლოო შეფასება. რაც შეეხება მთელი პროგრამის შეფასების პერიოდს, იგი განისაზღვრება 5 წლის ვადით. შეფასების პერიოდულობა და შეფასების ფორმები და მეთოდები ადეკვატური და გამჭვირვალეა.

თანდართულ დოკუმენტებში ასევე მოცემულია ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში აკადემიური პროგრესის შეფასება, რომელშიც მოცემულია აკადემიურ პროგრესთან დაკავშირებული მონაცემების დეტალური ანალიზი. კერძოდ, ფილოსოფიის ყველა კურსის შეფასება ხდება შუალედური და საბოლოო შეფასებების შედეგების გათვალისწინებით. ამ შეფასებების საშუალო შედეგები შედარებულია მინიმალურ ზღვრებთან და გამოითვლება სტანდარტული გადახრები. საერთო ჯამში, დოკუმენტი ნათლად ასახავს პროგრამის ფარგლებში სტუდენტების აკადემიურ პროგრესს.

პროგრამის მთლიანობაში თვითშეფასების მიზნით, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ჩაატარა პროგრამის ფარგლებში სტუდენტების აკადემიური პროგრესის ანალიზი, სტუდენტების გამოკითხვები (სემესტრულად), სამაგისტრო გამოკითხვა, ფოკუს-

ჯგუფები დამსაქმებლებთან, პროგრამის გარე კოლეგების მიმოხილვა, საორიენტაციო ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასებისთვის და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასება. ამ საერთო სქემის ფარგლებში გადაწყვეტი როლი ითამაშა სტუდენტების აკადემიურ მოსწრებამ. ადგილზე ვიზიტის დროს ასევე დადასტურდა, რომ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი იღებს რეგულარულ დახმარებას ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისგან, რათა განავითაროს პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამისთვის საკმაოდ ჰგავს საბაკალავრო პროგრამას და მისი საუკეთესო პრაქტიკა დანერგილია და გამოიყენება ამ პროგრამის განმავლობაშიც. ამ თვალსაზრისით, სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრულია და მოიცავს ზომებს მისი გამჭვირვალობისა და პერიოდულობის უზრუნველსაყოფად. ფილოსოფიის თავისებურებები სათანადოდ არის გათვალისწინებული, რადგან შეფასება მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს და სხვადასხვა სამიზნე ნიშნულებს მრავალფეროვანი მიღწევების განსაზღვრის მიზნით. გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ამ პროცესში ადეკვატურია. გასაუბრებისას პერსონალმა გამოავლინა შეფასების მეთოდების სათანადო ცოდნა და ახსენა ინსტიტუციური ინიციატივები ამ საკითხთან დაკავშირებული შესაძლებლობების გასაძლიერებლად. არსებობს შესაბამისი ზომები, რათა გამოყენებული იქნეს შეფასების შედეგები პროგრამის კომპონენტების გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი
- დარგობრივი მახასიათებლები
- ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პროგრესი (თანდართული დოკუმენტი)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამაში შეფასების პროცედურები სათანადოდ არის დადგენილი მკაფიო რეგულაციებით. ისინი სრულიად ადეკვატურია პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად. სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებას, სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სწავლის სფეროსა და დონის თავისებურებებს, იყენებს შესაბამის მეთოდებსა და კრიტერიუმებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს ეხმარებიან სწავლის შედეგების შემუშავებისა და გაზომვისათვის საჭირო უნარებისა და ცოდნის გამომუშავებაში და უზრუნველყოფილია კომუნიკაცია, ასევე უზრუნველყოფილია პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი
- დარგობრივი მახასიათებლები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

კომპონენტი 2.3 სწავლება- სწავლის მეთოდები	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების შეფასება სათანადოდ არის შემუშავებული შესაბამისი რეგულაციით, ეროვნული ხელისუფლების გარე წესებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი შიდა წესების შესაბამისად. ისინი განაპირობებენ კრედიტებისა და რეიტინგების მკაფიო და თანმიმდევრულ სისტემას. შეფასების პროცედურები, კრიტერიუმები და ბარიერები ყველა შემთხვევაში არის სათანადოდ შემუშავებული. მაგალითების რაოდენობა (შუალედური და საბოლოო შეფასება) არის ადეკვატური სწავლის შედეგების შესაბამისი შეფასებისთვის. პროგრამების ფარგლებში თეზისების შეფასება არის ნათელი და ეფუძნება შესაბამისი რეგულაციით განსაზღვრულ პროცედურებსა და ზომებს. უზრუნველყოფილია განმავითარებელი უკუკავშირი დოქტორანტებისთვის თეზისების წერის პროცესში. დაწესებულებას აქვს შესაბამისი შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასებების გამჭვირვალობას. ზოგადი ხასიათის უკუკავშირის მიცემის პროცედურა სწავლებაში ჩართული პერსონალისგან ინტეგრირებულია ზოგად მიდგომასთან და ზიარდება ელექტრონული პლატფორმების საშუალებით.

სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალი საკმარისად დატრენინგებულია შეფასების საკითხებთან მიმართებით. აღსანიშნავია, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება საერთაშორისო ანალოგებთან პარტნიორობით. ინტერვიუების განმავლობაში, სასწავლო პროცესში ჩართულმა პერსონალმა აღწერა და შეაფასა შეფასების კრიტერიუმები და მრავალფეროვანი პროგრამების მახასიათებლები. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ეს კრიტერიუმები მათთვის ცნობილია სასწავლო კურსების დასაწყისში და სავარაუდოდ, რომ არ არსებობს რამე სირთულე ვადებისა და მოთხოვნების დაცვის მხრივ. უკუკავშირი არის ადეკვატური და შესაბამისი კვლევები არის ჩატარებული.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები
- სილაბუსები
- რეგულაციები დისერტაციის პროცედურებზე პროგრამებში, რომლებიც მოიცავს მათ
- ელ. სწავლების პლატფორმის პრეზენტაცია ადგილზე ვიზიტის განმავლობაში
- ინფორმაცია კვლევებზე და სხვა შეფასების ინსტრუმენტებზე
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მმართველ რგოლთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები:

- გაგრძელდეს სტუდენტთა მუშაობის სტატისტიკური ანალიზის შემუშავება.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობა შეა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შეა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშეა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობა შეა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შეა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშეა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამები)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 (ფილოსოფია; საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, არსებობს აპლიკანტებისა და ამჟამინდელ სტუდენტებისთვის ინფორმაციისა და კონსულტაციის მიწოდების სხვადასხვა გზა, როგორებიცაა: 1. საინფორმაციო შეხვედრები აპლიკანტებისთვის და სტუდენტებისთვის, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დეტალური ინფორმაცია სასწავლო გარემოსა და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ. 2. სასწავლო პირობები და მხარეების პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი კონტრაქტში, მოიცავს ახალ სტუდენტებსაც. 3. უნივერსიტეტის სპეციალური პროგრამული სისტემა "არგუსი" უზრუნველყოფს სტუდენტებს სხვადასხვა ინფორმაციით 4. ფაკულტეტს ჰყავს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორი, ვისგანაც ინფორმაციის მიღება შესაძლებელია პერსონალური კონსულტაციებით, ელ.ფოსტითა და ტელეფონით. 5. სტუდენტების კონსულტაცია პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებზე ხორციელდება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტთან ერთად. 6. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ხშირად ატარებს ტრენინგებს ელექტრონული სისტემის და საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებაზე. 7. სასარგებლო ინფორმაცია სტუდენტებისთვის რეგულარულად გამოიცემა უნივერსიტეტის საიტზე და ეგზავნება სტუდენტებს ელ.ფოსტის საშუალებით. 8. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ატარებს საინფორმაციო და საკონსულტაციო აქტივობებს დასაქმების მიზნით; 9. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სტუდენტური ცხოვრების ფორუმს, სადაც ახლად მიღებულ სტუდენტებს ეცნობიან სტუდენტური კლუბის რეგისტრაციის პროცედურებს; 10. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან და დაინტერესებულ

სტუდენტებს უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციას საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ და ა.შ.

აღსანიშნავია, Argus-ის პროგრამული სისტემა, რომლის გააქტიურებაც სტუდენტებს შეუძლიათ ინდივიდუალურად კორპორატიული ელექტრონული ფოსტის საფუძველზე. სისტემა მუშაობს საკმაოდ კარგად და სთავაზობს სტუდენტებს მოქნილ კურსებს, ელ.სწავლების მასალებსა და სილაბუსებს. ამ პროგრამის დახმარებით, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ კურსები და შეამოწმონ თავიანთი შეფასებები და დაგროვებული ქულები და დაგეგმონ სასწავლო პროცესი. მასალები, რომლებიც კურსის სილაბუსებშია მოცემული ხელმისაწვდომია "არგუსში".

ერთი მხრივ, სტუდენტებსა და მეორე მხრივ, აკადემიურ პერსონალს/უნივერსიტეტის პერსონალს შორის კომუნიკაციის საშუალებები აღსანიშნავია. მაგალითად, არგუსის საშუალებით, სტუდენტებს შეუძლიათ კომუნიკაცია კურსის ხელმძღვანელებთან და მათგან უკუკავშირის მიღება.

სტუდენტები ჩართულნი არიან აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესში. პერსონალი ითვალისწინებს სტუდენტების შეფასებებს, კომენტარებს და საჭიროებებს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტთა დასაქმებასა და კარიერულ წინსვლას. სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ მიმართულებით მუშაობს. დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგ აქტივობებს: "მარი ბურდულის დასაქმების თვე და დასაქმების ფორუმები UNIJOBs, რომელიც მოიცავს დამსაქმებლებთან შეხვედრებს, ტრენინგებს და კონსულტაციებს კარიერული განვითარების მიმართულებით და ა.შ. კურსდამთავრებულები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან UNIJOBs ბაზაში, იღებენ ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. კარიერული განვითარების მხარდაჭერი ვორქშოფები ტარდება სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის. უნივერსიტეტს აქვს კურსდამთავრებულთა ბაზა, რომლის განახლებაც ხდება პერიოდულად. ამის საფუძველზე, კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა ხორციელდება. გარდა ამისა, უნივერსიტეტის პროექტები ითვალისწინებს კარიერულ განვითარებას და დასაქმებას უნივერსიტეტში: კიბერლაბორატორია - უნილაბი და პროექტი ილიაუნი+ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის კარიერული განვითარების პროექტი - "ბუსტერი" და სხვები. საერთაშორისო სკოლის ფარგლებში, შექმნილია დოქტორანტი სტუდენტების/კურსდამთავრებულების დამსაქმებლების ბაზა უნივერსიტეტში. უნივერსიტეტი აორგანიზებს დასაქმების ფორუმებს.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებთან შეხვედრამ გამოავლინა, რომ არსებობს კომუნიკაციის გაძლიერების საჭიროება მათ და უნივერსიტეტის მენეჯმენტს შორის. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში. საერთაშორისო სადოქტორო სკოლა ეხმარება დოქტორანტ სტუდენტებს საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებში "თანასწავლების" განხორციელებაში. უნივერსიტეტის განვითარების სამსახური მხარს უჭერს სტუდენტების ჩართვას საერთაშორისო პროექტებში, ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობებისა და სამეცნიერო ღონისძიებების შესახებ. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს (მაგ. ერასმუს +) და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობას. ზემოხსენებულის ფარგლებში, სამსახური სთავაზობს სტუდენტებს სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერ სერვისებს: უზრუნველყოფს წვდომას ინფორმაციაზე ვებგვერდის, "არგუსის", ელ.ფოსტისა და სოციალური ქსელის საშუალებით, ეხმარება სტუდენტებს ფაკულტეტებთან სასწავლო ხელშეკრულებების შეთანხმების პროცესში და ა.შ.

უნივერსიტეტს აქვს მექანიზმი წახალისოს სტუდენტები და გააღრმავოს მათი ცოდნა - სეზონური სკოლების და ბანაკების, სტუდენტური ცხოვრების ფორუმის, სტუდენტური კლუბების საშუალებით, დააფინანსოს სტუდენტური პროექტები და მოემსახუროს სასწავლო პროცესის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ფუნქციონირებს აკადემიური წერის ცენტრი, რომელიც ეხმარება

სტუდენტებს აკადემიური წერის უნარების გაუმჯობესებაში. ასევე არსებობს ონლაინ სერვისები ამ მიმართულებით, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრის არსებობა სტუდენტებისთვის კარგი პრაქტიკაა, რომელიც დაფუძნდა უნივერსიტეტის პროფესორების ინიციატივით. ამ ცენტრში, გამოცდილ და კვალიფიციურ სპეციალისტებთან ერთად, უნივერსიტეტის შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები უწევენ კონსულტაციას სტუდენტებს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა გეგმავს კურსდამთავრებული მენტორის სტატუსის შემოღებას, რაც ასევე აღსანიშნავია. მენტორი გაუზიარებს გამოცდილებას დოქტორანტ სტუდენტს და მხარს დაუჭერს მის კარიერულ და პროფესიულ განვითარებას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განვითარების სამსახურის დებულება;
- დოკუმენტები ერთობლივი ხელმძღვანელობის შესახებ
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი;
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების დოკუმენტები
- ელ. პლატფორმა "არგუსი"
- აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელების წესები და სამუშაო ჯგუფების აქტივობები;
- სტუდენტური საქმეთა დეპარტამენტის დებულება
- დოკუმენტები ადმინისტრაციული ერთეულების შესახებ
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები				

პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, შემუშავებულია სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომების კონცეფციები და სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო დებულება. ამ დოკუმენტების საფუძველზე ტარდება სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის პროცესი, მათ შორის კვლევითი ხელმძღვანელების შერჩევის პროცესი.

სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია აკადემიური პერსონალისა და მათი კვლევითი ინტერესების შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდიდან და ამის საფუძველზე აირჩიონ ხელმძღვანელი, რომელიც შეესაბამება მათ კვლევით ინტერესებს.

კვალიფიკაცია და აკადემიური პერსონალის რაოდენობა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჰყავდეთ გამოცდილი და პროფესიონალი ხელმძღვანელი. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ხელმძღვანელი უნივერსიტეტის პროფესორებიდან. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს დოქტორის ხარისხის მქონე ერთზე მეტი ხელმძღვანელი. დოქტორანტისთვის ნებადართულია თანახელმძღვანელ(ებ)ის ყოლა, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვა უსდ-დან მოწვეული, მათ შორის უცხოური დაწესებულებიდან საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში ან სექტორული კომისიის შეთანხმებით. მაგისტრანტ და დოქტორანტ სტუდენტებს აქვთ საკმარისი შესაძლებლობა, რომ შეხვდნენ და მიიღონ კონსულტაცია ხელმძღვანელებისგან, შესაბამისი რეგულაციების ფარგლებში. დაწესებულებას აქვს მკაფიო შეხედულება ხელმძღვანელებისა და სტუდენტების თანაფარდობაზე, რაც უზრუნველყოფს მოსალოდნელი ამოცანების სწორად განვითარებას. ამავე კუთხით, არსებობს ადეკვატური მექანიზმები ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ამოცანების შესაფასებლად, რაც იძლევა გონივრული მონიტორინგის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, მანსტერის უნივერსიტეტთან გაფორმებული Cotutelle-ს ხელშეკრულების საფუძველზე, გათვალისწინებულია პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ თანახელმძღვანელის შესაძლებლობა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციები მოწმდება პლაგიატზე Turnitin-ის გამოყენებით (ინტეგრირებულია Moodle-ში) და სტუდენტები იღებენ მნიშვნელოვან მხარდაჭერას, რათა მუშაობისას თავიდან აიცილონ პლაგიატი.

მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია სამაგისტრო/სადოქტორო საფეხურის სტუდენტების ხელმძღვანელობასთან - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო)	
სამაგისტრო თეზისების ხელმძღვანელების რაოდენობა	12
მაგისტრანტების რაოდენობა	22
თანაფარდობა - სამაგისტრო თეზისების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	0.55

მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია სამაგისტრო/სადოქტორო საფეხურის სტუდენტების ხელმძღვანელობასთან - პროგრამა 4 (ფილოსოფია, დოქტორანტურა)	
სადოქტორო თეზისების ხელმძღვანელების რაოდენობა	10
დოქტორანტების რაოდენობა	12
თანაფარდობა - სადოქტორო თეზისების ხელმძღვანელების/სადოქტორო სტუდენტების	0.83

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები
- სისტემა „არგუსი“ .
- სადისერტაციო კომიტეტის რეგულაციები და მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო სწავლების რეგულაციები
- დისერტაციის ნაშრომის კონცეფცია
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და აკადემიური პერსონალის კვლევები
- უნივერსიტეტის ვებსაიტი
- თანაფარდობა ხელმძღვანელებსა და მაგისტრანტებს/დოქტორანტ სტუდენტებს შორის აქტიური სტატუსით
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი
- სტუდენტთა კვოტების დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- გასული წლის კურსდამთავრებულთა სტუდენტების კვლევის შედეგების ანგარიში
- დოქტორანტ სტუდენტების ფოკუს ჯგუფის ანგარიში
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ფილოსოფია; საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამოუმუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში მომუშავე ადამიანურ რესურსს აქვს მაღალი კვალიფიკაცია. პროგრამების ხელმძღვანელები არიან სათანადოდ ჩართული მართვის პროცესში და ინტერვიუს დროს, აჩვენებს ღრმა ცოდნა და ნათელი ხედვა პროგრამის განვითარებასთან მიმართებით. მათ გამოავლინეს ადეკვატური ინფორმაცია, იდეები და მექანიზმები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და მათ მოვალეობებს შორის ბალანსის შენარჩუნებასთან მიმართებით.

აკადემიური პერსონალი არის კვალიფიციური და აქვთ კარგი კვლევითი შედეგები, საერთაშორისო პუბლიკაციები და იდეები სწავლის მეთოდებთან, პროგრამის ზოგად მიზნებთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. ინტერვიუების განმავლობაში, აკადემიურმა პერსონალმა აჩვენა ინსტიტუციური ჩართულობა და კმაყოფილება სამუშაო გარემოს მიმართ. მოწვეულმა პერსონალმა ასევე გამოავლინა ძლიერი სურვილი, რომ გააძლიერონ სამეცნიერო და სასწავლო უნარები; და ყოვლისმომცველი შეხედულებები პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით და იმ გზებთან მიმართებით, თუ როგორ შეიტანონ უკეთესად თავიანთი წვლილი. მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა შრომის პირობებთან დაკავშირებული გარკვეული დაბრკოლებები, რაც ეხება ხელფასებს, წლიური კონტრაქტების და აკადემიური საქმიანობის დაფინანსების არარსებობას. იმის გათვალისწინებით, რომ ეს საკითხები საერთო დაბრკოლებას წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სასურველი იქნებოდა ამ პირობების გაუმჯობესებაზე მუშაობა მოწვეული პერსონალის მდგომარეობისა და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, რომლებიც კურირებენ პროგრამების ძირითად კურსებს.

სამუშაო დატვირთვა მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და არის თანმიმდევრული რესურსების გაზრდისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მხრივ. კონსულტაციის საათები სათანადოდ არის გათვალისწინებული სტუდენტის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა გამოავლინა საერთო კმაყოფილება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობით და დაადასტურა მუდმივ მონიტორინგზე და უკუკავშირზე ორიენტირებული აქტივობები. ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებებთან ინტერვიუების დროს მოწოდებული და დასაბუთებული იქნა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების ანალიზის შესაბამისი ზომები და სათანადოდ იყო აღწერილი შედეგების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები. პერსონალის დენადობა არის ადეკვატური. ყველა ამ მოტივიდან გამომდინარე, სქემა უზრუნველყოფს კლასტერების მდგრადობას.

ადმინისტრაციული პერსონალი არის ადეკვატური, მათი ფუნქციები და როლი კარგად დაფარული. სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუებში სათანადოდ იყო აღწერილი შესაბამისი ზომები პრობლემების გადასაწყვეტად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია ამტკიცებს, რომ თავისუფალი მეცნიერებების

საბაკალავრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ების ანალიზმა აჩვენა, რომ მათი კვალიფიკაცია სრულიად პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებს და საქართველოს კანონმდებლობას. მათი განათლება, პედაგოგიური და სამეცნიერო აქტივობები, ასევე პროფესიული გამოცდილება პასუხობს საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგებს. დამატებით, მათ გამოაქვეყნებენ შესაბამისი პროფილის ნაშრომები: მონოგრაფიები, სტატიები საერთაშორისოდ აღიარებულ ჟურნალებში ბოლო 5 წლის განმავლობაში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყოველი სემესტრის დასაწყისში ახლდება და მოიცავს საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა აქტივობებს.

თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 27 ადამიანი, 16 აკადემიური და 11 მოწვეული პერსონალი (მოიცავს 2 უცხოელს). აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა კარგია განათლების ხარისხის და პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. პროგრამის დირექტორების აკადემიური და კვლევითი აქტივობები, მათი პროფესიული გამოცდილება ხელს უწყობს პროგრამის ეფექტურ განხორციელებას.

პროგრამის ტექნიკური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა უზრუნველყოფილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. კერძოდ, დეკანი, დეკანის ასისტენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სტუდენტთა კოორდინირების სამსახური, კანცელარია და ფინანსური სამსახური. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია პასუხობს მათ ფუნქციებსა და სამუშაო აღწერილობებს, რომელიც დასტურდება მათი CV-ებით.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის თანამშრომლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესი ეფექტურად იმართება ელექტრონული სისტემის „არგუსის“ მეშვეობით, რომლის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს ტექნოლოგიების დეპარტამენტი. ამასთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უწევს სტუდენტებს დროულ, კვალიფიციურ და ეფექტურ მომსახურებას, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ დახმარებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლის საქმიანობას მხარს უჭერს მოქნილი და ეფექტური ადმინისტრაციული სტრუქტურები.

პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი⁷	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
მთლიანი რაოდენობა აკადემიური პერსონალის	16	16	16	16

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- პროფესორი	12	12	12	12
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	11	11	11	-
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ავტობიოგრაფია
- შესაბამისი ინსტიტუციური რეგულაციები
- აკადემიური პერსონალთან კონტრაქტის ნიმუშები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ მართველ გუნდთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)

მთლიანობაში, აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომელიც ჩართულია პროგრამაში არის 16 (4 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 6 მოწვეული ლექტორი). ბალანსი პროგრამის ძირითად პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს შორის (10/6) უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურობასა და ფუნქციონირებას. ამას გარდა, აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა ადეკვატურია პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით (16/75). აკადემიური ბალანსი, მათ შორის ბალანსი აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მათი ჩართვა პროგრამაში არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისი. ძირითადი პერსონალის პუბლიკაციები ავლენს მათ ჩართულობას საერთაშორისო კვლევით აქტივობებში და გამოცდილებას ამ სფეროში, და მოწვეული პერსონალის კომპეტენცია უზრუნველყოფს მათი ცოდნის გადაცემას პროგრამის სტუდენტებისთვის. დატვირთვის სქემა ძირითადი პერსონალის და მოწვეული პერსონალისთვის არის ადეკვატური და არ უშლის ხელს მათი ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულებას. სტუდენტთა კონსულტაცია გათვალისწინებულია დატვირთვის სქემაში. პროგრამას აქვს 61.5%-იანი აკადემიური პერსონალის და 16.7%-იანი მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი.

ფილოსოფიას საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ შესანიშნავი კვალიფიკაცია, დაიცვეს დოქტორის ხარისხი ცნობილ უნივერსიტეტებში და არიან აქტიური მკვლევარები, რომლებიც ჩართულნი არიან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში. მათ აქვთ მდიდარი გამოცდილება ადმინისტრაციული საქმიანობის მიმართულებით.

პროგრამა მხარდაჭერილია საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული პერსონალით, რომლებიც არიან მაღალკვალიფიციურნი და აქვთ მზაობა მხარი დაუჭირონ პროგრამის პერსონალს და სტუდენტებს.

პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი⁸	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი⁹	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
მთლიანი რაოდენობა აკადემიური პერსონალის	16	16	10	10
- პროფესორი	4		4	4
- ასოცირებული პროფესორი	5		4	5
- ასისტენტ-პროფესორი	1		1	1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	6			-
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ავტობიოგრაფია
- შესაბამისი ინსტიტუციური რეგულაციები
- აკადემიური პერსონალთან კონტრაქტის ნიმუშები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ მართველ გუნდთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (14) შეესაბამება სტუდენტთა რაოდენობას (22). კურსდამთავრებულთა და მათ ხელმძღვანელთა თანაფარდობა შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში განსაზღვრულ მეთოდოლოგიას და ხელმძღვანელების დატვირთვის შესაბამისია. კვლევითი გამოცდილება და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დარგის თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების გამოყენებას როგორც სასწავლო პროცესში, ასევე მაგისტრანტების ხელმძღვანელობისას.

აკადემიური პერსონალის დატვირთვა გონივრულია და საშუალებას აძლევს მათ ასწავლონ, ასევე უხელმძღვანელონ ნაშრომებს. პერსონალი, ასევე, ასწავლის დაახლოებით თანაბარი რაოდენობის

⁸ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

კურსებს. პროგრამას აქვს 50%-იანი შენარჩუნების მაჩვენებელი აკადემიურ პერსონალში, ხოლო 16.7%-იანი მოწვეულ პერსონალში.

ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მათი ჩართვა პროგრამაში არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისი. ძირითადი პერსონალის პუბლიკაციები აჩვენებს მათ ჩართულობას საერთაშორისო კვლევით საქმიანობაში და დარგობრივ ექსპერტიზას, და მოწვეული პერსონალის კომპეტენცია უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის.

სამაგისტრო თეზისის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს ძირითადი ფაკულტეტის წევრი ან ფაკულტეტის მოწვეული პერსონალი, ასევე დოქტორი ან სხვა, რომელსაც აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები.

პროგრამა მხარდაჭერილია საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული პერსონალით, რომლებიც არიან მაღალკვალიფიციურნი და აქვთ მზაობა მხარი დაუჭირონ პროგრამის პერსონალს და სტუდენტებს.

პროგრამა 3 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი¹⁰	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი¹¹	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	14	14	14	13
- პროფესორი	6	5	5	6
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	1	1	1	-
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რეზიუმე
- შესაბამისი ინსტიტუციური რეგულაციები
- აკადემიური პერსონალთან კონტრაქტის ნიმუშები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ მართველ გუნდთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, აკადემიურ და

¹⁰ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამის აკადემიურ პერსონალს აქვს შესანიშნავი დარგობრივი გამოცდილება, შესაბამისი პუბლიკაციები და მონაწილეობენ კვლევით პროექტებში და აქვთ საერთაშორისო ხილვადობა. სწავლებაში ჩართულ პერსონალს აქვს შესაბამისი გამოცდილება ახალგაზრდა მკვლევარების ტრენინგის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის შედეგების მისაღწევად. სადოქტორო პროგრამას აქვს განსაზღვრული მკაფიო რეგულაციები და მოთხოვნები ხელმძღვანელებისთვის, რეგულაციების შესაბამისად. სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის რაოდენობა არის დაბალანსებული სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებით. პროგრამას აქვს 92.3%-იანი აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი.

ინტერვიუების განმავლობაში, სასწავლო პროცესში ჩართულმა პერსონალმა გამოავლინა მკაფიო ხედვა კურსდამთავრებულთა მოსალოდნელი პროფილის შესახებ, ბოლო კვლევების რელევანტურობისა და კვლევის მეთოდების, და ასევე, იმ ინსტრუმენტების შესახებ, რომლითაც უზრუნველყოფენ დოქტორანტების ხელმძღვანელობას. ეს ინფორმაცია დადასტურდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ.

პროგრამა 4 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹²	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹³	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	14	14	14	14
- პროფესორი	6	5	5	6
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	1	1	1	-
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

¹² ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹³ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- რეზიუმე
- შესაბამისი ინსტიტუციური რეგულაციები
- აკადემიური პერსონალთან კონტრაქტის ნიმუშები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ მართველ გუნდთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები:

გაუმჯობესდეს მოწვეული პერსონალის სამუშაო პირობები, რაც გულისხმობს ხელფასს, წლიურ კონტრაქტებსა და აკადემიური გაუმჯობესებისთვის შესაძლებლობებისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის შიგნით, იმ პროგრამების ფარგლებში, რომელიც გულისხმობს ხელმძღვანელის ყოლას, ხელმძღვანელს აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც აუცილებელია მისი როლის შესასრულებლად. ეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სწავლის დონეს და შესასრულებელ დავალებებს. ამ თვალსაზრისით, ხარისხის პარამეტრები და შესაბამისი სამეცნიერო გამოცდილება და მიღწევები აღსანიშნავია მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურებთან დაკავშირებულ რეგულაციებში.

პროგრამა 3 -4 (სამაგისტრო პროგრამა)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები¹⁴	მათ შორის, აფილირებულ ი აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	13	13	13
- პროფესორი	6	6	6
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)

მაგისტრატურის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო კვლევის გამოცდილება ამ სფეროში. ინტერვიუების დროს სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელებმა აჩვენეს პროგრამის მიზნების არსებითი ცოდნა და თავიანთი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები სტუდენტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით. ინტერვიუების განმავლობაში, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს კმაყოფილება ხელმძღვანელობის პროცესთან დაკავშირებით. წერის პროცესში, ყოველი ნაბიჯი ხელმძღვანელის მიერ მოწმდებოდა. მმართველმა გუნდმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გამოავლინეს ცოდნა ხელმძღვანელობის არსთან დაკავშირებით,

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

საუკეთესო შედეგების მიღწევის მიზნით.

სამაგისტრო თეზისის რეგულაციებში ასევე აღწერილია თუ რა მოთხოვნები აქვს ხელმძღვანელს. მისი აკადემიური მიღწევები გათვალისწინებულია. სამაგისტრო თეზისის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს ძირითადი ან მოწვეული პერსონალის წევრი, ასევე, უკვე გამოცდილი დოქტორანტი ან სხვა ინდივიდი, რომელსაც აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები. ბოლო წლების პერიოდის თეზისების სათაურების ანალიზით გამოვლინდა, რომ ხელმძღვანელებს აქვთ უნარი და კომპეტენცია გასწიონ ხელმძღვანელობა ფართო სპექტრის თემებთან მიმართებით და სთავაზობენ სტუდენტებს ახალ, აქამდე გამოუკვლევ კვლევით საკითხებს.

პროგრამა 3-4 (ფილოსოფიის პროგრამა)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები¹⁵	მათ შორის, აფილირებულ ი აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	13	13	13
- პროფესორი	6	6	6
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამის დებულება გვთავაზობს სრულყოფილ აღწერას იმ მოთხოვნების შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს ხელმძღვანელი, მათ შორის პოზიციას, ხარისხის დონეს, დარგობრივ კვლევით გამოცდილებას და წინა მიღწევებს, რითაც დასტურდება, რომ ხელმძღვანელი არის დარგის ექსპერტი. განსაზღვრულია პუბლიკაციების ხარისხი და განხორციელებული სამეცნიერო აქტივობების კრიტერიუმებთან შესაბამისობა. ხელმძღვანელების პროფილი და მოთხოვნები ერთობლივი ხელმძღვანელობის შემთხვევაში არის ასევე ადეკვატური. ინფორმაცია ხელმძღვანელების შესახებ არის საჯარო და ხელმისაწვდომი ინსტიტუციის ვებგვერდზე.

ინტერვიუს განმავლობაში, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებმა აჩვენეს პროგრამის მიზნების ფართო ცოდნა და შესთავაზეს კარგი პრაქტიკის რამდენიმე მაგალითი დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით. ამავე დროს, სტუდენტები და კურსდამთავრებულები კმაყოფილნი არიან ხელმძღვანელების შრომით, ხაზი გაუსვეს მათ წვლილს სხვადასხვა დარგში და მათ

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

მზაობას დაეხმარონ სტუდენტებს სწავლების სხვადასხვა ეტაპზე. მმართველმა გუნდმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა აღნიშნეს ამ ასპექტის შესაბამისობა მაღალი ხარისხის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- სადოქტორო პროგრამების რეგულაციები
- ხელმძღვანელის რეზიუმე
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, მმართველ გუნდთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ-მ რეგულარულად ატარებს პროგრამის პერსონალის მუშაობის შეფასებას და აანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/ კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს სწავლების მეთოდებს, ხოლო აკადემიური პერსონალის შემთხვევაში ასევე კვლევით და სამეცნიერო მიღწევებს. სასწავლო კომპონენტის შეფასება ითვალისწინებს სტუდენტების გამოკითხვებს, რომლებიც შედგება ლოგიკური კითხვებისგან და რეგულარულად ახლდება, იხვეწება და უტარდება მონიტორინგი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომელიც არის სასწავლო პროცესის შეფასების განვითარების სერვისი, და იძლევა შესაბამისი უკუკავშირის საშუალებას. კვლევითი ასპექტის შეფასებასთან დაკავშირებით, არსებობს შესაბამისი ინსტრუმენტები მონაცემების შეგროვებისა და აღნიშნული ასპექტების გაძლიერების მიზნით. რეგულარულად ხდება ტრენინგ შესაძლებლობების შეთავაზება და ხელმისაწვდომია შესაბამისი მხარდაჭერაც საერთაშორისო თანამშრომლობასა და სხვა კვლევით აქტივობებში ჩასართავათ.

ინტერვიუების განმავლობაში, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები საკმარისად აღწერენ მონიტორინგის პროცედურებს; სასწავლო პროცესში ჩართულმა პერსონალმა დაადასტურდა მათი მონაწილეობა შეფასებასა და ამ შეფასების საფუძველზე უკუკავშირის მიცემაში. სტუდენტებმა კი აღნიშნეს მათი მონაწილეობა სწავლების ხარისხთან დაკავშირებულ კვლევებში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განვითარების სამსახურის რეგულაციები
- სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის შეფასების რეგულაციები
- პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრის დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, მმართველ პერსონალთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: გაიზარდოს სწავლებაში ჩართული პერსონალის გადამზადების შესაძლებლობები შეფასებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არსებობის შემთხვევაში) -

შეფასება

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (თავისუფალი მეცნიერებები, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ფილოსოფია, საბაკალავრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფილოსოფია, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ფილოსოფია, სადოქტორო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

